ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №33

25.01.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, გიორგი დოხტურიშვილი, თარაშ შურღაია, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **ეკატერინე ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 31 დეკემბრის №12-03183655-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 31 დეკემბრის №12-03183655-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №011833547-67; №01183312830-67; №01183313182-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 3 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი - **ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩის №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.030, ნაკვ. №07/030, ფართობი: 14207 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№011833547-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№011833547-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.030, ნაკვ.№07/030, ფართობი: 14207 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.030) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №63 განკარგულებით

დადგენილია ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, №01.19.24.007.030 საკადასტრო ერთეულზე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

- **განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი - ქ. თბილისში, ზაალ დუმბაძის ქუჩა №8, ზაალ დუმბაძის ქუჩა №22, გერგეთის ქუჩის ბოლოს (სოლოლაკის რეზერვუარი), შესახვევი გერგეთი №3, გერგეთის შეს. №3-ის მიმდებარედ, გასასვლელი გერგეთი №8-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.15.07.006.039, 01.15.05.070.071, 01.15.05.070.002, 01.15.05.070.015) მიმდებარედ (ფართობი: 463 კვ.მ.) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01183312830-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01183312830-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ზაალ დუმბაძის ქუჩა №8, ზაალ დუმბაძის ქუჩა №22, გერგეთის ქუჩის ბოლოს (სოლოლაკის რეზერვუარი), შესახვევი გერგეთი №3, გერგეთის შეს. №3-ის მიმდებარედ, გასასვლელი გერგეთი №8-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.15.05.070.057, 01.15.07.006.039, 01.15.05.070.071, 01.15.05.070.002, 01.15.05.070.015) მიმდებარედ (ფართობი: 463 კვ.მ.) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება გზის გაფართოების მიზნით. დაინტერესებაში არსებული ტერიტორია წარმოადგენს საავტომობილო გზის მომიჯნავე არეალს და წარმოდგენილი ტოპო-გეგმის მიხედვით, ხე-ნარგავების დაზიანების გარეშე შესაძლებელია განხორციელდეს გზის გაფართოება. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 10 დეკემბრის №01183443989 წერილის თანახმად, საკადასტრო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ არსებული გზის რეაბილიტაციის მიზნით, ლანდშაფტურ-სარეკრეციო ზონისა (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მიზანშეწონილია ისე, რომ არ დაზიანდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შეკითხვები დასვეს:**

ბ-ნმა თ. შურღაიამ - არსებული გზის ფაქტობრივი მონაცემების (ფართობი და გამტარუნარიანობა) და ფუნქციური ზონის ცვლილების (კორექტირების) შემდეგ, გზის პარამეტრების ცვლილების შესახებ, მათ შორის, ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების შენარჩუნების თაობაზე.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, რომელიც დაინტერესდა, იმ შედეგით, რაც შესაძლოა დადგეს არსებული ფუნქციური ზონების (ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის) სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა მომხსენებელმა (ე. ცეცხლაძე), რომლის განმარტებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) წარმოადგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის ხარვეზს და გადასულია (შეჭრილია) ფაქტობრივად არსებულ გზაზე, რაც ცვლილების განხორციელების შემდეგ გასწორდება და გზის ფართობი არ შეიცვლება, მხოლოდ გასწორდება არსებული ხარვეზი. რაც შეეხება, ტერიტორიაზე არსებულ ხე-ნარგავებს, არ არსებობს მათი მოჭრის საფრთხე.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფუნქციური ზონა არ შეიცვლება, გზისთვის საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, არსებულ - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და სარეკრეაციო ზონა 2-ში ვერ განხორციელდება შესაბამისი სამუშაოები, რადგან აღნიშნულ ფუნქციურ ზონებში (ლსზ, რზ-2) ნებისმიერი მშენებლობა თუ სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება დაუშვებელია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მომხსენებელმა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ დამატებით აღნიშნა, რომ დაინტერესებულ პირს (განმცხადებელს) ფუნქციური ზონის ცვლილება მოთხოვნილი ჰქონდა მეტ ფართობზე, მაგრამ საქალაქო სამსახურის მიერ საკითხის შესწავლისა და არსებული მდგომარეობის შეფასების შემდეგ, განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა მხოლოდ საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილ ფართობზე, არსებული (ფაქტობრივი) მდგომარეობის გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ, ბ-ნმა თ. შურღაიამ და ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, რომლებმაც აღნიშნა, რომ ფაქტობრივი (რეალური) მდგომარეობის გათვალისწინებითა და ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების შენარჩუნებით ფუნქციური ზონის ცვლილება შესაძლებელია.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, რომელმაც ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც შესაძლოა დადგეს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო და სარეკრეაციო ზონების ცვლილების შემთხვევაში.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთების, საპრეზენტაციო მასალის, ასევე, დამატებითი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და შეკითხვები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 3

- **განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი - ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩის №1-ში (ნაკვეთი: №02/001) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.002.001) ნაწილზე (ფართობი: 2330 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№01183313182-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01183313182-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩის №1-ში (ნაკვეთი: №02/001) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.12.002.001) ნაწილზე (ფართობი: 2330 კვ.მ.) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება ორი ფუნქციური ზონა (სამრეწველო ზონა (ს-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2(სსზ-2)) და ასევე, მიმდებარედ, თ. ერისთავის ქუჩის გასწვრივ ჩამოყალიბებულია შერეული ტიპის განაშენიანება, რომლის განვითარებაც მიმდინარეობს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისთვის დამახასიათებელი შენობა-ნაგებობებით. აღნიშნული ცვლილებით დაზუსტდება ამ საკადასტრო ერთეულის სამშენებლო განვითარება ერთი ფუნქციური ზონის შესაბამისად. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთსა და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) რეჟიმი.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 31 დეკემბრის №12-03183655-03

წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადების - №011833547-67; №01183312830-67; №01183313182-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე